საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№45-1/18

„16“ აპრილი 2018 წ.

ბატონ იმედა აფციაურს

ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქ. №1-ში, ბატონ იმედა აფციაურის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამეზობლოსთან ურთიერთკავშირში მყოფ სადემონტაჟო შენობებს (იხ. საკადასტრო კოდი 01.12.12.002.069.) კერძოდ:

შენობა №1. – 2 სართულიანი, გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის მქონე, გაბარიტული ზომებით Lxb=19.0x19.0 მ. კონსტრუქციულად კარკასული ტიპის, სართულშუა გადახურვა ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით. სადემონტაჟო შენობას ესაზღვრება ასევე სადემონტაჟო ერთ სართულიანი შენობა-ნაგებობები N2; N3; N6; N7; N8.

შენობა N2; N3; N6; N7; N8. – 1 სართულიანი ნაგებობებია, გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის მქონე, კონსტრუქციულად მზიდ კედლიანი, გაბარიტული ზომებით: შენობა N2 – Lxb = 4.0 x 17.0 მ; შენობა N3 – Lxb = 4.40 x 13.0 მ; შენობა N6 – Lxb = 11.0 x 21.0 მ; შენობა N7 – Lxb = 8.0 x 9. 0 მ; შენობა N8 – Lxb = 2.0 x 6.0 მ.

შენობა N2-იდან შენობა N4 და N5 მოშორებულია მიახლოებით 9 მ. მანძლით. სადემონტაჟო შენობებიდან სამხრეთ დასავლეთით მეზობლად მდებარე შენობა ნაგებობები მოშორებულია მიახლოებით 17 მ. მანძილით, ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთით ესაზღვრება მექანიზაციის ქუჩა. ჩრდილო დასავლეთით ესაზღვრება მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკითხის შესახებ შ.პ.ს. ”მონოლითი” გაცნობებთ, რომ აღნიშნული შენობების დემონტაჟი შესაძლებლად მიგვაჩნია სათანადოდ მიღებული უსაფრთოების ზომების დაცვით. შენობების დემონტაჟი უარყოფით გავლენას არ მოახდენს მოსაზღვრე შენობა ნაგებობების შემდეგ ექსპლოატაციაზე.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/